საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 6 ივლისი 1919 წ. ტფილისი, შუშარის ქუჩა № 148

ერთობა

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი. ცალკე-ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ასე-შიგნეულ პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

საკანდიდატო სია № 3

საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის სომეხთა სექციისა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოში.

1) დანდუროვი სარქის.
2) პანიანცი კონსტანტინე.
3) მიკირტუმიანი ბაგრატ.
4) ვარდოიანი გევორქ.
5) ხითარიანი ალექსანდრე.
6) ვარდოიანცი მკრტიჩ.
7) პალიანი მკრტიჩ.
8) კაიტანჯიანცი სტეფანე.
9) ტერ-პარსეგოვა ელეონორა.
10) ერზინკიანი აკოფ.
11) ალიხანიანი ვარდან.
12) ვანციანი ლევონ.
13) პარსუგიანი რიფსიმე.
14) გლახოიანი სარქის.
15) დავითიანი სარქის.
16) ნიკოგოსიანი ამირანი.
17) მინასარიანი პეტროს.
18) ნიკოგოსიანი ტიკო.
19) გალუსტიანი გევორქ.
20) აუშტროვი რუბენ.
21) ეგიაზარიანი ალექსანდრე.
22) მურმანიანი დავითი.
23) შახნაზარიანი ნიკოგოს.
24) ვოსკანიანი არუთიუნ (ოვსეფ).
25) შიმშირიანი ლევონ.
26) ოვანესიანი გეორქ.
27) ლორის-მელიქიანი ევა.
28) არუტიუნიანი მოვსეს.
29) არზუმანიანი გევორქ.
30) ეგიაზარიანი ვარდან.
31) არშაკუნი სიმონ.
32) ალექსანიანი ლევონ.
33) ამბარცუმიან სარქის.
34) ზახარიანი ნატალია.
35) ულიხანიანი ალექსანდრე.
36) ისრაელიანი სტეფანე.
37) ანდრიანიანი ეგორ.
38) იტრიანი ნიკოლოზ.
39) აკოპიანი გრიგოლ.
40) გაბრიელიანი ალექსანდრე.

ՎՐԱՍՏԱՆԻ ՍՈՑ.-ԴԵՄ. ԲԱՆ. ԿՈՒՍԱԿ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍԵԿ. ԹԵԿՆԱԾՈՒՆԵՐԻ

ՑՈՒՑԱԿ № 3

Վրաստանի Հայոց Ազգային Խորհրդի ընտրութիւն. համար (յուլիս 1919 թ.)

1. Դանդուրեան Սարգիս
2. Փանեան Կոնստանդին
3. Մկրտումեան Բագրատ
4. Վարդոյեան Դէորգ
5. Խիթարեան Ալէքսանդր
6. Վարգոյեան Մկրտիչ
7. Պալեան Մկրտիչ
8. Ղայթանջեան Ստեփան
9. Տէր Բարսեղեան Էլէոնորա
10. Երզնկանեան Յակով
11. Ալիխանեան Վարդան
12. Վանեցեան Լևոն
13. Փորսուղեան Հռիփսիմէ (Հայկանուշ)
14. Գլախոյեան Սարգիս
15. Դաւթեան Յովհաննէս
16. Նիկողոսեան Ամիրան
17. Մինասարեան Պետրոս
18. Նիկողոսեան Թիկո
19. Գալստեան Գէորգ
20. Առաքելեան Ռուբէն
21. Եղիազարեան Ալէքսանդրա
22. Մուրմանեան Դաւիթ
23. Շահնազարեան Նիկողայոս
24. Ոսկանեան Յարութիւն (Յովսէփ)
25. Շիմշիրեան Լևոն
26. Յովհաննիսեան Գէորգ
27. Լորիս-Մելիքեան Եւա
28. Յարութիւնեան Մովսէս
29. Արզումանեան Գէորգ
30. Եղիազարեան Վարդան
31. Արշակունի Սիմէոն
32. Ալէքսանեան Լևոն
33. Համբարձումեան Սարգիս
34. Զախարեան Նատալիա
35. Ուլխանեան Ալէքսանդր
36. Իսրայէլեան Ստեփան
37. Անդրիանեան Եգոր
38. Իսրեան Նիկողայոս
39. Յակոբեան Գրիգոր
40. Գաբրիէլեան Ալէքսանդր

ՎԻՐԱՀԱՅ ԱԶԳԱՅԻՆ ԽՈՐՀՐԴԻ ԸՆՏՐՈՒԹԻՒՆՆԵՐԻ

ՎՐԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՒՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԵԱՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍԵԿՑԻԱՅԻ ԸՆՏՐԱԿԱՆ ՀԱՆՁՆԱԺՈՂՈՎԻ

ԲԻՒՐՕՆ

գտնուում է Ռուստավելու (Գոլովինեան) պրոսպեկտ վրայ, Առաքելովի տանը № 24 երկրորդ յարկում։

Տեղեկութիւնները կարելի է ստանալ քարտուղարի մօտ, ամեն օր՝ երեկոյեան ժամի 5-ից մինչև 7-ը։

ՍՈՄԵԽԹԱ ԵՐՈՎՆՈՒԼԻ ԽՈՐՀՐԴԻ ԿԵՆՏՐԱԼՈՒՐԻ

կոմիսիան սոմխուրի սեքցիան ինչպես նաև Վրաստանի սոց. դեմ. մուշ. Պարտիայի Խորհրդի Կենտրոնական Բիւրոն գտնուում է Գոլովինեան պրոսպեկտ № 24 տանը։ Տեղեկութիւնները կարելի է ստանալ քարտուղարի մօտ, ամեն օր՝ երեկոյեան ժամի 5-ից մինչև 7-ը։

ღრმად დამწუხრებულნი მაზლები ლუკა, ერმილე და ილარიონ, დედამთილი ელისაბედი, რძალი ოლღა და მულები თებრონე და კატო, დეიდა ნინო და ბიძა ანტონ მგელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის საყვარელი რძლის

მარიამ მიხეილის ასული რუსეიშვილისა

გამოსვენება დღეს, 6 ივლისს, დილის 10 საათზე ბინიდან, მილიუტინის ქუჩა, სახლი № 9, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

ხვირას 6 ივლისს პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

მარიამ (მარუსია) ივანეს ასულის მიქაძის

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ დამეგობართ დამწუხრებულნი მშობლები ივდოკია მახარობლის ასული და ივანე როსტომის ძე მიქაძენი და შვილები მათი: თამარა, ნინა, ელენა, ნიკოლოზ და გიორგი. წირვა დაიწყება 11 საათზე. (2—2)

უდროოდ დაობლებულნი შვილები: ნადეჟდა და ქეთო ფილიპეს ასულნი რუსეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი და ძვირფასი

დედისას

გამოსვენება დღეს, 6 ივლისს დილის 10 ს. ბინიდან, მილიუტინის ქ. № 9, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: კატო და გიორგი ბეჟიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი რძლის

მარიამ მიხეილის ასული რუსეიშვილისას

გამოსვენება დღეს, 6 ივლისს დილის 10 ს. ბინიდან მილიუტინის ქუჩა № 9, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

სახელმწიფო თუ მოხელეთა დიქტატურა

„ბალშევიკურ“ მოღვაწეობის მეთოდს ჩვენშიაც ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა. და იმდენად ძლიერია ეს მიდრეკილება, რომ მისთვის ჯერ კიდევ ვერ დაუხწევიათ თავი მონობაში აღზრდილთ, მუდამ მორჩილთ და სხვის თვალში შემყურე მოხელეებს და სხვა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს.

მკითხველისთვის ალბათ შეუმჩნეველი დარჩა გორის მაზრის ექიმთა ყრილობის ანგარიში, რომელიც ვინმე ზ. ედილმა მოათავსა გაზეთ „საქართველოში“ გასული თვის 12 ივნისს თავისი კომენტარიებით. ექიმთა ყრილობის დადგენილების საპასუხოთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება გორის სამაზრო ერობის საპასუხო წერილი, რომელიც საკმაოდ აშუქებს საქმის ფაქტიურ მხარეს.

ჩვენ კი მეტად გვაინტერესებს ამ საქმის პრინციპიალური მხარე.

ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რაც ნიშნავს დემოკრატიის, ხალხის ბატონობას. მთავრობა მხოლოდ აღმასრულებელი ძალაა და როგორც ასეთი, ის ემორჩილება ხალხის ნება-სურვილებს. თავისთავად ცხადია, რომ დაბალი მოხელენი კიდევ უფრო მეტად არიან ვალდებულნი ანგარიში გაუწონ ამ გარემოებას.

ისინი სათითაოდ თითქოს ასეც იქცევიან, მაგრამ ნამდვილად კი თავიანთ პროფესიონალურ კავშირებს ეფარებიან.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი მივიღეთ, ასეთის კავშირების მხრით მართვა-გამგეობის საქმეში ჩარევისა. და რაც ყველაზე უფრო საკვირველია, ასეთს მოღვაწეობას დემოკრატიზმის სახელით ასაღებენ. უბრალო მოხელეთაგან ჩვენ არ გაგვაკვირვებდა ასეთი წრეს გადასული მოქმედება, რადგან მეტად მძიმე და უკუღმართი იყო ის პირობები, რომელშიაც ძველ მოხელეს უხდებოდა საქმიანობა და სრულიად ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თავისუფლება ისე იქნა გაგებული, როგორც მოვალეობათაგან განთავისუფლება.

მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტს მოველოდით თავისუფალ პროფესიების წარმომადგენელთაგან. მაგრამ, საუბედუროთ, ეს ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, რაც ერთხელ კიდევ მტკიცდება გორის ექიმთა ყრილობის დადგენილებით. გორის ექიმებს გადაუწყვეტიათ ხალხის მიერ არჩეული ერობა თავის პროფესიონალურ ინტერესებს დაუმორჩილონ და იმდენათ გაკადნიერებულან ეს ვაჟბატონები, რომ კიდეც ემუქრებიან ერობას და კანონიერის გზით ერობის სამსახურში შესულ ექიმს თავის წრიდან აგდებენ.

მოვაგონებთ ბბ. გორის ექიმებს, რომ ჯერ კიდევ მათი კოლეგა ვერესაევი გამოსთქვამდა თავის „წერილებში“ სურვილს, რომ ექიმები გამხდარიყვნენ საზოგადოების მოსამსახურეებათ და დღეს დემოკრატიზმის და დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელით დემოკრატიაზე გაბატონების მოთხოვნა ყოვლად შეუწყნარებელია.

დროა ყველამ შეიგნოს თავისი მოვალეობა საზოგადოებისა და ხალხის წინაშე და მოხელეთა დიქტატურა უკუგდებულ იქნას თუნდაც პროფესიულ კავშირების სახით.

სახელმწიფოს აქვს დემოკრატიული ორგანოები ხალხის მიერ არჩეული, და ყოველი მოხელენი, თუ სპეციალისტები ვალდებული არიან მის გამგეობაში შევიდნენ და ამ გზით ხალხს ემსახურონ.

დემოკრატიზმი და სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს ამას. თფილისის ფოსტის მოხელეთა ერთი ნაწილი და გორის ექიმების დადგენილება ამ მხრივ ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია. ჩვენ მოველით შეგნებულ ექიმებისა და მოხელეებისაგან ასეთ გზის ენერგიულ უარყოფას.

სომეხთა ეროვნული საბჭო

20 ამ თვეს მოხდება საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები, არჩევნებში მონაწილეობას იღებენ სომხური ყველა პოლიტიკური პარტიები.

ამ არჩევნებს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

შექმნილმა საერთო მდგომარეობამ საქართველოს ისტორიული მსვლელობა რადიკალურათ შესცვალა და მისი გემის იალქანი ჩრდილოეთის ქარმა ევროპისაკენ მიმართა. აუცილებლობამ მოითხოვა მისი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ აღიარება. მის საზღვრებში არა ერთი და ორი ეროვნული უმცირესობანი მოჰყვა, მაგრამ ყველა ამათში პირველი ადგილი უჭირავს სომხობას. ეს ერი მთელი საუკუნოების განმავლობაში ჭირში და ლხინში ჩვენთან ერთად იყო. ვინ იცის, რამდენ ისტორიულ ქარტეხილს გადაუვლია და რამდენი მწარე წუთები უგემია ჟამთა მსვლელობას ორივე ერისთვის, მაგრამ ჩვენი სოლიდარობა, ჩვენი მეზობლური და მოქალაქეობრივი ურთიერთობა ერთხელაც არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის გაბატონებული პარტია დაშნაკცუტიუნი ყოველ ზომებს იღებდა გაეთხარა გაუვალი ორმო ჩვენსა და მათ შორის. ჩვენდა დიდათ სამწუხაროდ, ეს ერთხელ კიდეც შესძლეს მათ და ეს მომენტი ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში მუდამ მწარე მოსაგონარათ დარჩება.

ეს ბოროტი პარტია დღესაც ენერგიულად განაგრძობს თავის დამღუპველ, გამთიშველ პოლიტიკას და ამ არჩევნებში მონაწილეობით და გამარჯვებით ცდილობს ხელში ჩაიგდოს ეროვნულ საბჭოს მართვა-გამგეობა, რომ მისი საშვალებით შესძლოს სომხის ხალხის იზოლიაცია ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში და მით დაარღვიოს საუკუნოებით განმტკიცებული ძმური კავშირი და ასე, ცხოვრებაში გაატაროს დებულება: გათიშე და იბატონეო.

სომხის დემოკრატია კარგათ გრძნობს ამ პარტიის და მისი პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს და ამიტომაც არის, რომ ისიც ასე მხნედ შეუდგა საარჩევნო სამზადისს.

სამწუხაროთ, სომხის დემოკრატიის სხვადასხვა ჯგუფებთა შორის არ მოხდა შეთანხმება და ცალ-ცალკე გამოდიან. ჩვენი ამხანაგები, სომეხი სოციალ-დემოკრატები, გამო

ᲓᲦᲔᲡ

ფიუმეს მაგიერ იტალიას სხვა კომპენსაციებს აძლევენ.

მოკავშირეებმა განიხილეს ავსტრიის, ბულგარეთის და ოსმალეთის საზავო პირობები. ოსმალეთის პირობებს გარდა ყველას ახლო ხანში დაამთავრებენ.

ბალშევიკების ცნობით სამხრეთის ფრონტზე, ხარკოვის მიმართულებით გენ. დენიკინის წინსვლა შეჩერებულ იქნა. სარატოვის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა ბალაშოვი დასტოვა. უფისა და პერმის რაიონებში საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენ. უკრაინაში, ლუცკის მიმართულებით, საბჭოთა ჯარს შეტაკება ჰქონდა პოლონელების მცირე რაზმთან.

ინგლისის მუშათა ორგანიზაციები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გაუქმებას.

გერმანიაში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა დამთავრდა.

მოდიან **მესამე ნომრით**, ესერები და რუსეთის სოციალისტები—პირველი ნომრით. ყველა იმათ, ვინც წინათ, დამფ. კრებაში და ქალაქის არჩევნებში ხმას აძლევდა პირველ ნომერს—ახლა ხმა უნდა მისცენ **მესამე ნომერს**. ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა ენერგიული დახმარება გაუწიონ მესამე ნომერს, რადგან მისი გამარჯვება ნიშნავს სომხის და ქართველი დემოკრატიის ძმური კავშირის განმტკიცებას, საერთო პოლიტიკის წარმოებას და ასე ხელი-ხელ ჩაკიდებით მოახლოვებას იმ ბედნიერ მომენტის, როცა იშლება ყოველ-გვარი მიჯნა ერთა შორის და მყარდება საერთო ძმობა-ერთობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სომხის დემოკრატია გაითვალისწინებს დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტებს და ხმას მისცემს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც გამოდის მესამე ნომრით,

შინ ძმობა, გარეთ მტრის მოგერება,—აი მომენტის დღევანდელი უმთავრესი საზრუნავი!

ამას ემსახურება მესამე ნომერი და ყველა ჭეშმარიტი დემოკრატიის ვალია ხელი შეუწყოს მის გამარჯვებას. ყველა ჩვენი ამხანაგები, განსაკუთრებით სომხები, ფეხზე უნდა დადგენ, რომ გამარჯვება მოვუპოვონ **ერთა სოლიდარობის დროშას.**

ხმა მიეცით № 3!

განი.

საქართველო და მისი გედი

XIII

სავალიუტო საქონელი.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა საშინელი ვაკხანალია ტრიალებს ვაჭრობაში, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია ვალიუტა.

მაშინ მთელი ვაჭრობა დამოკიდებულია შემთხვევაზე. არ არსებობს რეგულიატორი, რომელიც ქმნის ერთგვარ ეკონომიურ ურთიერთობას სახელმწიფოთა შორის და შინაურ ვაჭრობას აგდებს განსაზღვრულ კალაპოტში, სადაც არა აქვს ადგილი ფასების განუსაზღვრელ ზრდას საქონელზე და სპეკულიანტების მადის გადიდებას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს და მის აპარატს კი არ უკავია ხელში სადავე ეკონომიური ცხოვრებისა, ის კი არ აძლევს ეკონომიურ პოლიტიკას სასურველი და ხალხისთვის სასარგებლო მიმართულებას, არამედ აღებ-მიცემობის ძარღვი უკავიათ ხელში გაბატონებულ ვაჭრებს და სპეკულიანტებს. სწორედ ეს გარემოება სცემს სახელმწიფოს ავტორიტეტს, უკარგავს მას ნდობას ფინანსიურ წრეებში, რის გამო ღირებულება სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა საშინლად ეცემა, იჩენს თავს ფინანსიური კრიზისი და თუ დროზე რამე ზომა არ იღონეს, სახელმწიფო აუცილებლად დაექანება დაღუპვის გზისაკენ.

ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო ხმარობს ორ საშუალებას—ან რეპრესიულ ზომებს წინააღმდეგ ვაჭრებისა, თუ მას ძლიერი ადმინისტრატიული აპარატი მოეპოვება, ან თავისუფალ ვაჭრობას აწესებს იმ იმედით, რომ კონკურენცია ასე თუ ისე გაამაგრებს ბაზრის ფასებს, ფულის კურსს და შეიტანს ვაჭრობაში ერთგვარ წესიერებას. ჩვენმა მთავრობამ სცადა ორივე გზა. არც ერთმა, არც მეორემ არ იხსნა ხალხი ეკონომიური გაჭირვებისა და სპეკულიანტების კლანჭებისაგან. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო.

მართლადაც, თუნდ მიზან შეწონილ რეპრესიულ ზომებს, ან თავისუფალ ვაჭრობას აქვს გასავალი იქ, სადაც ეკონომიური ცხოვრება მიმდინარეობს ნორმალურად, როდესაც სახელმწიფოთა შორის მოწესრიგებულია ექსპორტი და იმპორტი (საქონლის გატან-გამოტანა). ასეთ დროს მისაღებია და შესაწყნარებელი რეპრესიული ზომები იმდენად, რამდენად ვინმე შეეცდება დაარღვიოს არსებული აღებ-მიცემობის წესიერება.

მაგრამ, როდესაც ყველა ეს არ არსებობს, როდესაც სახელმწიფოს ხელში არ უკავია სავალიუტო საქონელი და ეს უკანასკნელი შეადგენს კერძო პირთა, ვაჭართა საკუთრებას, მაშინ რეპრესიული ზომები ან თავისუფალი ვაჭრობა სრულიად არ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას, პირიქით, უფრო ართულებენ, ამწვავებენ ეკონომიურ ცხოვრებას.

ეს ნათლად დაგვანახვა თითქმის ორი წლის გამოცდილებამ და ისტორიამ ჩვენი სასურსათო კრიზისთან ბრძოლაში და ვაჭრობის საქმეების მოგვარებაში. მთელი გამოცანა და ბოროტება კი იმაშია, რომ სწორეთ სავალიუტო საქონელი საქართველოში, როგორც მარგანეცი, აბრეშუმის პარკი, თამბაქო იმყოფება კერძო ვაჭართა ხელში, ეს ის საქონელია, რომელსაც საჭიროებს სამრეწველო ევროპა.

ამ რიგად საქონლის გაცვლა-გამოცვლის ბედი, ექსპორტის საქმე იმყოფება ვაჭარ-სპეკულიანტების ხელში.

ასეთი მოვლენა კიდე არ შეადგენს დიდ უბედურებას სახელმწიფოსთვის ნორმალურ დროს, როდესაც სახელმწიფოს აქვს ოქრო, როდესაც არსებობს ბევრად თუ ცოტად შეურყეველი კურსი საერთაშორისო ფულის ბირჟაზე, მაგრამ დღეს, როცა საერთაშორისო ვაჭრობის პირობები სრულიად დარღვეულია, და ოქრო კი სახელმწიფოს არ მოეპოვება, სავალიუტოთ გამოსადეგი საქონელი კი მოგროვილია კერძო ვაჭართა ხელში, ასეთი მდგომარეობა ფრიად საზარალოა სახელმწიფოსთვის და ყოვლად მიუღებელი.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე, ექსპორტის კითხვა ჩვენმა მთავრობამ თითონ უნდა იდვას თავზე. უპირველეს ყოვლისა მთავრობამ უნდა მოაწესრიგოს ექსპორტი. დროზედ გაიტანოს საერთაშორისო ბაზარზე ის საქონელი (მარგანეცი, თამბაქო, აბრეშუმის პარკი და სხ.), რომელსაც აქვს საერთაშორისო სავალიუტო ხასიათი, რომელშიაც ჩვენ მივიღებთ იმ საქონელს, რასაც საჭიროებს ჩვენი შინაური ბაზარი.

ექსპორტი ისე უნდა მოეწყოს, რომ ევროპასთან არ გაგვიხდეს სახვეწრათ საქმე, ევროპელებს უნდა დავასწროთ საქონლის იმათთან გატანით, ვიდრე იგინი შემოიტანენ საქართველოში და მოგვაჩეჩებენ ისეთ საქონელს, რომელსაც იქნება მცხოვრებთა უმრავლესობა არც კი საჭიროებდეს.

რომ სწორეთ ასე მოეწყოს ექსპორტის საქმე, აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ სავალიუტო საქონლის ბატონპატრონათ გახდეს საქართველოს მთავრობა.

ეს კი იქნება მაშინ, როცა მთავრობა გამოაცხადებს მონოპოლიას მარგანეცზე, თამბაქოზე, აბრეშუმის პარკზე *).

მაშინ მთელი აღებ-მიცემობის საქმის დაჭერა ევროპასთან გადავა სახელმწიფოს ხელში, ამით გაადვილდება ვაჭრობა, სასურსათო საქმე მოგვარდება, ჩვენი ფულის კურსი საგრძნობლათ აიწევა (თორემ ჩვენი ბონების ღირებულება მალე ჩამოვა უბრალო ქაღალდის ღირებულებამდე), ფინანსიური კრიზისი თავიდან აგვცდება, ხალხი სპეკულიანტების სიდუხჭირისაგან თავს იხსნის.

აქ კითხვა თავის თავათ იბადება; თუ ასეთი მალამო არსებულა, აქამდის რას ფიქრობდა მთავრობა და არ ადგებოდა გაჭირვებიდან გამომხსნელ გზას, არ აძლევდა ხალხს შვებას?

ყველას თავის დრო და გამართლება აქვს.

ვიდრე მსოფლიო ომი სწარმოებდა, შეკრული იყო ვაჭრობის და მიმოსვლის გზები სახელმწიფოთა შუა, ვიდრე შინაური პოლიტიკური მდგომარეობა, სამოქალაქო ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა ჩვენში, ამ გვარი ნაბიჯის გადადგმა ჩვენი მთავრობის მიერ მოგვარებას კი არ შეიტანდა სასურსათო და საერთო ეკონომიური ცხოვრებაში, პირიქით, აწეწდა და გაამწვავებდა.

დღეს კი ეს კითხვა თვით ცხოვრებამ, თვით საგარეო და შინაური ვაჭრობის პირობებმა წამოაყენეს.

ამიტომ მთავრობა სწორეთ დღეს არის მოვალე გადადგას ეს გაბედული ნაბიჯი. თქმა არ უნდა მონოპოლიის გამოცხადებას ზემოთ ჩამოთვლილ საქონლებზე ექნება ძალდატანებითი ხასიათი, რადგან ასეთი აპერაცია დაჩაგრავს მრეწველთა კერძო ინტერესებს, მაგრამ მთავრობამ ამ საშუალების წინაშე არ უნდა დაიხიოს, რადგან მას მოითხოვს სახელ წიფოს და მცხოვრებთა უმეტესობის ინტერესი. რა ორგანო და როგორ უნდა მოაწყოს მთავრობამ ექსპორტის საქმე?

ეს კითხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

მართლადაც, მონოპოლიის გამოცხადება ადვილია, საქმე ცხოვრებაში გატარებაა.

ჩვენ დღევანდლამდე არა ერთხელ და ორხელ ვცადეთ სასურსათო საქმეები მოწესრიგება სხვადასხვა ორგანოებზე გადაცემით, მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა, სასურსათო კრიზისი მაინც არ განელდა, ცხოვრების სიძვირე არ შემცირდა.

ევროპასთან ვაჭრობის პირდაპირ დაჭერა, მასთან ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება, ექსპორტის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, წარმოადგენს უფრო რთულს და ძნელ საქმეს, რომელსაც ვერ მოერევა არსებული ტიპი სასურსათო საბჭოებისა.

მთავრობასთან უნდა დაარსდეს ფრიად მოძრავი და მარტივი აპარატი, შემდგარი მცოდეე, სპეციალისტ პირებისაგან, დაახლოებული ფინანსიურ ოპერაციებში, გამოცდილი მრეწველ-ვაჭრობის საქმეებში.

ეს ორგანო იქნება უმაღლესი ხელმძღვანელი, საერთაშორისო და შინაური აღებ-მიცემობის საქმეებში. მხოლოდ მისი განკარგულებების შესასრულებლედ, შემოტანილ-გასატან საქონლის მომარიგება-განაწილებისათვის არაა საჭირო დაარსდეს ახალი სააგენტო განყოფილებები, თავისი ახალი შტატებით, რაც ძალიან დიდ ხარჯებს გამოიწვევს. საკმარისია ამ ორგანომ გამოიყენოს კოოპერატივთა, ქალაქთა და ერობათა კავშირები, რომ დაკისრებული საქმეები პირნათლად შეასრულოს.

კ. კახელი.

ᲣᲧᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ

„პრინციპიალური ხასიათის“ წერილებთან ერთათ საქართველოს მოძულე გაზეთები აუარებელ ყალბ ინფორმაციას ჰბეჭდავენ ჩვენი ცხოვრებიდან.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ეს გაზეთები პირნათლათ ასრულებენ დაკისრებულ საქმეებს—ლანძღავენ, ათრევენ ჩვენს ქვეყანას და ამით ჰქმნიან ცუდ ატმოსფერას როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ საქართველოს შესახებ.

და ეს ხდება ჩვენს თვალწინ, ჩვენს ქალაქში.

„ტიფლისკაია გაზეტა“-ში (№ 132) გუშინ, მაგალითად, ასეთი ცნობაა მოთავსებული: **„ავადმყოფობანი.** ქალაქში ტიფით ავადმყოფობა ძლიერდება. ხოლერის მოლოდინში მცხოვრებნი თითონ ზრუნავენ, რომ დაიცვან თავი ამ სენისაგან ხოლერის საწინააღმდეგო აცრით“.

ვინც ჩაუკვირდება, ბევრს ამოიკითხავს ამ ცნობიდან: ქალაქი უპატრონოთაა, ქალაქი თფილისი, საქართველოს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი!..

ხალხი თითონ ზრუნავს თავის თავზე...

ტიფით ავადმყოფობა ძლიერდება...

პირველიც და მეორე ცნობაც ყალბია. ჯერ ერთი—ტიფი კლებულობს და არ მატულობს. მეორეთ—რატომ გაზეთს არ მოეხსენება ის მოწოდებები ქალაქის თავისა, სანიტარული გამგეობის ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს ხოლერის აცრის თუ ასაცრელი შრატის დამზადების საქმეში.

გაზეთს ყველაფერი ეს მოეხსენება, მაგრამ ის წინასწარი განზრახვით ბოროტათ სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით—გვამცირებს; ჩვენი თანასწრებით, ჩვენ გასაგონად აწვდის მოხალისეთა ჯარის მწერლებს ისეთ ცნობებს, რომლის თანახმად მეთაურებს დასწერენ თავიანთ გაზეთებში საქართველოს ერევ-დარეევის და უპატრონობის შესახებ.

ჩვენის აზრით, ყოველგვარი ასეთი ცნობა, თუ სხვა ზომები არ იქნება მიღებული მისი გავრცელების წინააღმდეგ, უარყოფილი მაინც უნდა იქნას იმავე გაზეთში, რომელიც მას დაბეჭდავს.

ამ შემთხვევაში საჭიროა ქალაქის გამგეობამ, სასანიტარო სამმართველომ აუწყონ „ტიფისკაია გაზეტას“ მკითხველებს საქმის ვითარება, როგორც ხოლერის აცრის, ისე ტიფის გავრცელების შესახებ.

დღეს ბრძოლის ხანაში ვიმყოფებით და გაზეთის მტრული კილო და ინფორმაციაც მავნებელია.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲚᲔᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ზარალი სეტყვისაგან

ჭრებალო. 27 ივლისს—ელისწინა ბაზარაში სეტყვამ გაანადგურა სოფლები: ლაილაში, ჭრჭყალა, ხურმუში, საირმე. მთელი მოსავალი დაღუპულია. ხეებს ქერქი აქვს შეგლეჯილი. ჭირნახულის თესვას გლეხები ხელ-ახლა შეუდგნენ. საზარელი სურათია. სოფლები ჩამოვიარეთ მე და ერობის თავმჯდომარემ. ზარალი ასი ათასობით არის. **რუბ. ყიფიანი.**

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ

საგანგებო სასამართლოში.

საგანგებო სასამართლომ ნესტორ ჭყონიას, როგორც დედის მკვლელს, მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. შემოქმედის მონასტრის გაძარცვის საქმეში სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა: 12 წლის კატორღა გერასიმე ბარამიძეს, ათ-ათი წლის კატორღა—იოსებ ბერძენიშვილს, ყარამან სიხარულიძეს და გიორგი სალუქვაძეს. დანარჩენი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.

„საქართველოს საინფორმაციო ბიულეტენი“.

პარიზში გამოდის „საქართველოს საინფორმაციო ბიულეტენი“, რომელშიაც ჩვენი ცხოვრებიდან იბეჭდება სხვადასხვა ცნობები. ამ ბიულეტენის 12 მაისის მე-7 ნომერში მოთავსებულია სხვა ცნობებთან ერთად ამსტერდამში ინტერნაციონალთან არსებული მუდმივი კომისიას მიერ 28 აპრილს 1919 წ. მიღებული რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

ᲑᲐᲫᲝ.

ადერბეიჯანი და მოხალისენი.

ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა 2 ივლისს ნოტა გაუგზავნა ბაქოში მყოფ ბრიტანეთის ჯარების სარდალს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მოხალისეები არამც თუ არ ასრულებენ ინგლისის მთავრობის წინადადებას სადემარკაციო ხაზის შესახებ, არამედ—არღვევენ მას. მოხალისეების გენერალმა ერდელმა ჩვენ წარმომადგენელს ახვერდოვს მოსთხოვა დაღესტანის საზღვრებიდან გასვლა. ადერბეიჯანის მთავრობა პროტესტს აცხადებს გენ. ერდელის განკარგულების გამო და სთხოვს ინგლისის მთავრობას აიძულონ მოხალისენი პატივით მოეპყრან ადერბეიჯანის რესპუბლიკის უფლებებსო.

ᲑᲐᲜᲙᲔᲢᲘ.

ნ. რამიშვილის პატივსაცემლად გამართულ ბანკეტს 2 ივლისს დაესწრო ადერბეიჯანის მთავრობა სრული შემადგენლობით პრემიერ უსუბეკოვის, სამხედრო მინისტრის გენ. მეხმანდაროვის და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯაფაროვის მეთაურობით. დაესწრენ აგრეთვე პარლამენტის, გენერალური შტაბის წევრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. ბანკეტს დაესწრენ აგრეთვე გენ. ოდიშელიძე, ნ. ქარცივაძე, დ-რ ალშიბაია. ბანკეტი გახსნა გენ. მეხმანდაროვმა საქართველოს ჯარის სადღეგრძელოთი. აღნიშნა მსოფლიო მოვლენათა მსვლელობა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ხორცის შესხმა, რაიც გამარჯვება იქნება უფლებისა ძალაზეო და სხ. აღნიშნა, რომ ამ პრინციპის გამარჯვების საქმეს დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ახალგაზრდა არმიამო. ილაპარაკეს ნ. რამიშვილმა, გენ. ოდიშელიძემ და სხ.

ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲘ

საადგილ-მამულო რეფორმა.

მთავრობის მიერ მიღებული კანონით გაუქმებულათ ითვლება ყველა ის ხელშეკრულებანი, რომლითაც გლეხებს გაყიდული ან დაგირავებული აქვთ ბაღები, სახლები, წისქვილები, მიწის ნაჭრები, უძრავი ქონება და პურის მოსავალი. კანონი ძალაში შედის 1918 წლის დეკემბრიდან. მამულის მყიდველთ გაღებული საფასური დაუბრუნდებათ.

ᲗᲔᲛᲘᲠ-ᲮᲐᲜ-ᲨᲣᲠᲐ

მობილიზაცია.

მოხალისეთა სარდლობის განკარგულებით ჯარში იწვევენ 1906—1921 წ. გაწვეულ, ე. ი. თხუთმეტი წლის, პირველი ხარისხის მხედრებს. მობილიზაცია ეხება თემირ-ხანშურის, პეტროვსკის, დერბენტის და დაღესტანის 9 ოლქის მცხოვრებთ. მობილიზაციისაგან თავისუფალი არიან მხოლოდ მუსულმანები.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲒᲐ

4 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

დღის წესრიგშია სხვათა შორის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი სოხუმის ამბების შესახებ.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი** აცხადებს, რომ შეკითხვა შეეხება ფრიად მძიმე და სერიოზულ საკითხს. მთავრობა თვით გრძნობს, რომ ის ურთიერთობა,

რომელიც დამყარებულია ამ ჟამად აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან, არ არის ნორმალური; მთავრობა ითხოვს ეს შეკითხვა გადაიდოს ერთი კვირით, რომ მას (მთავრობას) საშუალება მიეცეს ამ საკითხის სავსებით ამოწურვისა.

შეკითხვა დღიურ წესრიგიდან მოიხსნა.

გ. ანჯაფარიძის მოხსენებით მოხდა მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა ახალგაზრდათა სპეციალურ სწავლის მისაღებათ საზღვარ გარეთ გაგზავნის შესახებ კანონ-პროექტის ძალით ამ საქმისათვის გადაიდო 2 მილიონი მანეთი. უნდა შესდგეს კომისია, რომელშიმც შევლენ უწყებათა წარმომადგენელნი, დამფ. კრ. კომისიების და უნივერსიტეტის წარმომადგენელნი; კომისია შეიმუშავებს სიას საზღვარ გარეთ გასაგზავნ ახალგაზრდებისა და მოაწესრიგებს ამ საქმეს. კანონ-პროექტი მიღებულ იქნა.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გადამდებ სენთან საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიტარულ ნაწილის საჭიროებისათვის დამატებით 200,000 მან. გადადებისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მუხლობრივად განხილის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი 1919 წ. 27 მაისის კანონის (ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთი ღონისძიების მიღებისა) დამატების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობისაგან გადმოცემულ 60 მილ. მან. ამიერ-კავკასიის ბონის პასუხისმგებლობის მიღებისა. ეს ფულები უკანასკნელ ემისიის დროს გადაეცა ადერბეიჯანის რესპუბლიკას. უკანასკნელმა არ ისარგებლა ამ ფულებით და ჩვენი მთავრობის განკარგულებაში გადავიდა. პასუხისმგებლობაც ჩვენ უნდა მიგვეღო.

ონიაშვილისვე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ფოთში მდ. რიონის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად 1.500,000 მ. გადადებისა ფოთის ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში. ამ ფულის ნახევარი ქალაქს მიუცია დახმარების სახით, მეორე ნახევარი კი სახელმწიფო ხაზინამ უნდა აინაზღაუროს საფუთო გადასახადიდან ყოველწლიურად 50 პროცენტის მიღებით.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 ივლისი.

ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ განიხილა ვსტრიისა, ბულგარეთისა და ოსმალეთთან დასადები საზავო პირობები. ყველას მალე დაამთავრებენ გარდა ოსმალეთის პირობებისა. ოსმალეთის დელეგატები შაბათს წავლენ. ბრატიანოს მოხსენება მოისმინეს. ოთხშაბათს ბრატიანო ბუქარესტს გაემგზავრება.

ინგლისური პრესის ცნობები.

უნგრეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნია იტალიის მისიის თავმჯდომარემ ბუდაპეშტში პოლკ. რომანელიმ, რომელმაც რევოლიუციონერები სიკვდილით დასაჯა. ბელაკუნმა ნოტაზე შემდეგი პასუხი გასცა: თქვენი ნოტის საპასუხოთ მსურს განვაცხადო, რომ მთავრობა ზიზღით შეხვდა თქვენ მუქარას, რომ შინაგან პირობებით გამოწვეულ ამბების პასუხისმგებლათ ჩვენ გაგვხდით. მიუნქენში, რიგაში, უკრაინაში და ფინლიანდიაში მოკავშირეებს არც ერთხელ არ განუცხადებიათ პროტესტი სიკვილით დასჯის გამო.

იტალიასთან მოლაპარაკება განახლდა, ფიქრობენ, რომ ადრიატიკის საკითხი მალე გადასწყდება. ვილსონი ფიქრობს, რომ ფიუმეს მაგიერ სხვა კომპენსაციები უნდა მისცენ იტალიას.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა ბაუერმა „დეიტშე-ალგემაინე-ცეიტუნგის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მთავრობის პროგრამის შესახებ შემდეგი სთქვა: „ახალი სამინისტროს პირველი მიზანი იყო ზავზე ხელის მოწერა, მაგრამ მისი დაარსების ნამდვილი მიზეზები და მისი ხასიათი ამ თვალსაზრისით არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს. შეიდემანის კაბინეტი სცდილობდა საზავო ხელშეკრულებასა და ვილსონის პრინციპების შორის საერთო წერტილი გამოენახა. ახალი კაბინეტის მიზანია გერმანიის აღორძინება. კაბინეტის შემადგენლობაში მინისტრების არჩევნებიც ამითვე აიხსნება. მე თვით მუშა ვარ და უკანასკნელ კაბინეტში შრომის მინისტრი ვიყავი. ამ გვარად შრომის ახალი ორგანიზაცია და სახელმწიფო სოციალური აღმშენებლობა პირველ რიგში სდგას. ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ სოციალდემოკრატიული პარტია არის ხელმძღვანელი პოლიტიკის სფეროში, არამედ—ისიც, რომ მდგომარეობა, რომელიც ომმა გამოიწვია და მისი შედეგები შეიძლება გაუმჯობესებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ სოციალურ სახელმწიფოში ჩვენ მაქსიმალურად ეფექტს მოვახდენთ შრომის სფეროში და ვეცდებით დავიბრუნოთ ის, რაც დავკარგეთ ხალხის ქონების და ტერიტორიის სახით.

გალშევიკების ცნობები

მოსკოვი, ივლისის 4. **სამხედრო ცნობა** (დასაწყისი არ არის მიღებული). **სამხრეთის ფრონტი.** სტარო-კონსტანტინოვკას რაიონში ჩვენ კისლევკა და ნიკოლაევი დავიჭირეთ. ხარკოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე სადგ. ისკრავკასთან შეავიწროვა. ჩვენმა ჯარმა ბოგოდუხოვი დასტოვა. ბელოგოროდის მიმართულებით ხადმიჟიკოსთან ბრძოლაა. ბელოგოროდის ჩრდილოეთით ვიარუის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბირიუჩი დასტოვა. ბალაშოვის რაიონში ჩვენ სადგური ნადი და ბალაშოვო დავსტოვეთ. **აღმოსავლეთის ფრონტი.** სტერლიმატაკის და უფის რაიონში ჩვენმა ჯარმა ვერხნეურალსკი ზლატოუსტის ხაზისკენ წინ წაიწია. პერმის რაიონში სადგ. ლიადის რაიონში ბრძოლაა. ჩვენმა ჯარმა მაიკორეკოვი დაიჭირა. **კიევი.** ივლის. 3. **სამხედრო ცნობა.** ლუცკის მიმართულებით ჩვენი ჯარი პოლონელების მცირე რაზმს შეხვდა. ტელფიპოლის რაიონში აჯანყებულთა ბრბოებმა და პეტლიურას ჯარმა კოჩურჟენცს შემოუტია, მაგრამ ჩვენ ისინი გავფანტეთ. ჩვენ ტეოფიპოლი დავიჭირეთ. ვოლოჩისკის მიმართ წითელმი ჯარმა ნიკოლაევი, ხიდი აკოველი და ზარუდიე დაიჭირა, ხარკოვის მიმართულებით ჩვენ სადგ. ისფოროვკა დავიჭირეთ. პოლტავა-ხარკოვ-ბოგოდუხოვის ხაზზე ბრძოლაა. **კიევი.** ივლ. 3. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ პოლტავის და ხარკოვის მიმართულებით მდგომარეობა მტკიცეა. მოწინააღმდეგე აქ წინ ვერ მოიწევს, ზოგიერთ ადგილებში კი უკან იხევს. სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა მალე შეიცვლება. საბჭოთა ჯარი მალე შეტევაზე გადავა. **ნაუენი.** ივლის.4. საერთო სიკეთის გულისთვის რკინის გზელებმა გაფიცვები დროებით შესწყვიტეს, მაგრამ აფრთხილებენ მთავრობას, რომ თუ რკინის გზელების კანონიერ მოთხოვნებს მომავალში არ დააკმაყოფილებენ, ისინი სისტემატიურად მოამზადებენ საერთო გაფიცვებს. **მოსკოვი.** ივლისის 4. მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს სამ. ც. ამ. კომიტეტის, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ ყველა მუშებს და გლეხებს მოწოდებით მიმართა, რომელიც ასე თავდება: წითელმა ჯარმა დაამარცხა კოლჩაკი, ის დაამარცხებს დენიკინსაც. სხდომაზე ლენინმა სთქვა: „ჩვენი მდგომარეობა ამ ჟამად ბევრად უკეთესი და მტკიცეა ვიდრე შარშან. რამდენად მეტია დენიკინის არმია, იმდენათ ადრე დაიშლება. ეხლა დეზერტირები ბრუნდებიან, ჩვენ მათ რიგში ჩაწერას ვერ ვასწრობთ. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ საქმეს უკვე ვასრულებთ. ამ ახლო მომავალში ჩვენი ძალები ციმბირის აჯანყებულ გლეხობას შეუერთდება. მინიარის ქარხანა უკვე ჩვენ ხელშია, ურალზე გლეხები და მუშები რევოლიუციის დასაცავათ ფეხზე დგებიან, გავიმარჯვებთ ჩვენ არა რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბში. დენიკინი და კოლჩაკიც, სხვებივით დაიშლებიან. **ლიონი.** ივლის. 4. ინგლისის მუშათა ორგანიზაციებმა 1,600,000 ხმით მოითხოვა საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გაუქმება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 8 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. ჰ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

ქალაქის საბჭოს ჩვეულებრივი სხდომა დღეს, 7 ივლისს, არ შესდგება.

ფოსტა-ტელეგრაფში. წინა წლების ჩვეულებისამებრ ივლისის 10-დან ფოსტის დაწესებულებაში სამუშაო დრო მცირდება ერთი საათით, ე. ი. დილის რვა საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. ეს განკარგულება არ ვრცელდება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოზე, დაწესებულებათა კანცელარიაზე და საბაგარკო ადგილებზე, როგორიც არიან: ბორჯომი, კოჯორი, სურამი, აბასთუმანი, ბაკურიანი დი მანგლისი.

დაჯარიმება. ღვინის სარდაფის პატრონი დარჩო ოვანიანი დაჯარიმებულ იქნა 5,000 მანეთით უპატენტოთ ღვინის გაყიდვისათვის.

რევიზია. ქალაქის გამგეობამ რევიზია გაუკეთა შემდეგ სასტუმროებს: „ვასტოკს“, „სერბიას“, „რესპუბლიკას“ და „კოლხიდას“. ეს სასტუმროები ბოროტ მომქმედთა თავშესაფარად იყვნენ გადაქცეულნი.

ლექციები. დღეს, დილის 10 ს. რკინის გზის კონდუქტორების აუდიტორიაში შესდგება ლექციები ექ. ტურიაშვილის, გრ. გიორგაძესი და იოს. ირემაშვილისა.

თავის მოკვლის განზრახვით 5 ივლისს, სტუდენტმა კოწია ლორთქიფანიძემ რევოლვერით თავი დაიჭრა.

ცეცხლის მჭრობელთა დღე. 12 ივლისს ქართულ კლუბში, ქალაქის გამგეობის ნებართვით გაიმართება წარმოდგენა ცეცხლის მჭრობელთა რაზმის სასარგებლოთ.

გაზეთების შეწყვეტა. ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელათ ეგზავნება ნიგოითში—ფირცხალაშვილს.

ანდრეიკა ნოესძე ჟორდანიას სახელობის საბავშვო ბაღის გასაშენებლად ბ. გრ. დიასამიძემ გადმომცა 150 მ. გრ. ურატაძე.

ქრონიკა

დღეს, დილის 10 ს. სახელოსნო სკოლის დარბაზში დანიშნულია მე-4 უბნის ხ. ს.-დ. მ. ჰ. საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ი. ირემაშვილი.

— კვირას, 6 ივლისს დილის 10 საათზე დანიშნულია ავლაბრის მუშათა კლუბის ფართო საზოგადო კრება. ასარჩევია ახალი გამგეობა.

— სამშაბათს, 8 ივლისს, სტუდენტთა სალადილოში დანიშნულია სახელმწ. უნივ. სტუდენტთა კავშ. გამგეობის სასწრაფო სხდომა. სხდომა გაიხსნება სრულს 6 საათზე.

— კვირას, 6 ივლისს, საღამოს 7 საათზე კავკასიის ექიმთა საზოგადოების ბინაზე დანიშნულია ექიმთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულ ცნობის გამო.

გაზ. „საქართველოში“ დაბეჭდილი იყო სიტყვა, რომელიც თითქოს გენერალმა ბიჩმა წარმოსთქვა გუმბრში. საგარეო საქმეთა მინისტრმა მიჰმართა ამის გამო ინგლისის მისიის უფროსს ნოტით ივლისის 2—1, რომელშიაც გენ. კიორის სთხოვდა ეცნობებინა რამდენად შეეფერება ცნობა სიმართლეს. ამის საპასუხოდ გენ. კიორიმ საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა შემდეგი: „თქვენო აღმატებულებავ! მადლობას გიძღვნით ადგილობრივ გაზეთიდან ამონაწერის გამოგზავნისათვის, სადაც დაბეჭდილია, ვითომდა გენ. ბიჩის მიერ გუმბრში წარმოთქმული სიტყვა. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩემს ხელთ არის, არც ამის მსგავსი გადაწყვეტილება და რაიმე გარდაწყვეტილება არ არის მიღებული ადერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მომავალ სახელმწიფოებსა და მათი საზღვრების თაობაზე. გარდა ამისა, ტონი გაზეთის ამონაწერისა ისეთია, რომ მე არ ვყოყმანობ მთელი ეს სიყალბე მივაწერო რომელიმე პირს, რომელიც მტრულად არის განწყობილი ადერბეიჯანსა და საქართველოს მიმართ. ამიტომ გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, შეიტყოთ გაზეთის რედაქტორისაგან, საიდან მიიღო ეს აშკარად ყალბი ცნობა და რა საბუთები ჰქონდა მას მიეწერა ეს უგუნური მტკიცებანი გენ. ბიჩისთვის“.

უცხოეთი

რეფორმები ინდოეთში.

ინგლისის პალატაში ინდოეთის პირველმა სახელმწიფო მდივანმა მონტეგუმ მოახსენა პალატას პროექტი ინდოეთში რეფორმების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ის მთავარ დებულებას გააცნობს პროექტისას, რომელიც შემუშავებულია თანახმად ინდოეთის ვიცე-კოროლის რაპორტისა.

მონტეგუმ გააკეთა აგრეთვე მოხსენება ინდოეთის ბიუჯეტის შესახებ და გააცნო დეპუტატებს ის არეულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოეთში. მომხსენებლის აზრით, ინდოეთში აღელვება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ოსმალეთის სახელმწიფო ნგრევის პროცესშია. მუსულმანები ძლიერ აღელვებული არიან და მტრულად უყურებენ ინგლისელებს. მონტეგუ არეულობას ხსნიდა კიდევ ბალშევიკების ემისრების აგიტაციით. მთავრობამ, განაცხადა მონტეგუმ, გადასწყვიტა კუთვნილი სასჯელი მიუსაჯოს ავღანისტანს, რომელნიც შემოიპრენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. არეულობის დროს დაიღუპა 9 ევროპიელი და 400 ინდუსი. შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს არეულობას. სხვათა შორის მან აღნიშნა, რომ ავათმყოფობა „ისპანკა“ ძლიერ გავრცელებული იყო, იგი მუსრს ავლებდა ხალხს, რაც უკმაყოფილებას აღვივებდაო, დაპირებული რეფორმების გაუტარებლობაც ხელს უწყობდა იმ არა სასურველ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოეთშიო. მონტეგუ საჭიროთ სთვლის ინდოეთში ძალა-უფლება ბიუროკრატიიდან—ხალხის ხელში გადავიდეს. ინდოეთი თვით უნდა განაგებდეს თავის შინაურ საქმეებს და სხვა. საჭიროა ინდოეთმა დაიჭიროს სწორუფლებიანი ადგილი სხვა სახელმწიფოებთა შორისო.

დეზერტირების წინააღმდეგ

დეკრეტი ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისთვის დასჯისა.

დროებით აწინდელ კანონების (სასჯელთა სამხედრო წესდება, სამხედრო დადგ. კრებ. 1869 წ., გამოც. მე-4, წიგნი მე-XXII, თავი მე-IV, განყ. მე-II) შესაცვლელად და დასამატებლად სამხედრო წოდების პირთა სამსახურიდან გაქცევის და ნებადაურთველ წასვლის შესახებ დადგენილ იქნეს შემდეგი წესები:

1. (128 და 129 მუხ. სასჯ. სამხ. წეს.) სამხედრო პირის მიერ თავის ნებით სამსახურის მიტოვება მშვიდობიანობის დროს ექვს დღე და ღამეზე მეტით, ხოლო ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე თავდასხმის ან შინაურ შეიარაღებულ აჯანყების წინააღმდეგ ერთ დღე და ღამეზე მეტით ჩაითვლება სამსახურიდან გაქცევად.

სამსახურიდან გაქცევად ჩაითვლება აგრეთვე, თუ სამხედრო პირმა, რომელიც სამსახურში დაინიშნა, ან სხვა ადგილას იყო გადაყვანილი, ან რაიმე საქმეზე გაგზავნილი, ან დროებით განთავისუფლებული, ან საავადმყოფოდან გამოწერილი, სამსახურში გამოცხადება დააგვიანა, საპატიო მიზეზების გარეშე, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაზე მეტით.

სამხედრო პირის მიერ თავის ნებით სამსახურის მიტოვება ან გამოუცხადებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადით ან ნაკლებით ჩაითვლება ნებადაურთველ წასვლათ.

2. (133 და 134 მუხ. სასჯ. სამხ. წ.) სამსახურიდან გაქცევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან:

ა) მშვიდობიანობის დროს: აფიცრები და სამხედრო მოხელენი ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და სათანადო უფლებათა ჩამორთმევით, ხოლო ჯარისკაცნი პირველათ ორიდან ოთხ თვემდე სამხედრო საპყრობილეში დაპატიმრებით, განმეორებით შემთხვევაში კი ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და სათანადო უფლებათა ჩამორთმევით.

ბ) ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე თავდასხმის ან შინაურ აჯანყების წინააღმდეგ ყოველი სამხედრო პირი კატორღით ოთხიდან ოც წლამდე, ან უვადოთ, ან დახვრეტით.

ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტში აღნიშნულს სასჯელს გარდა, დამნაშავეს, უკეთუ მას გატაცებული აქვს სახელმწიფო ნივთი, გადახდება გატაცებულის ორკეცი საფასური.

3. (130 და 131 მუხ. სასჯ. სამხ. წ.) ნებადაურთველ წასვლისთვის დამნაშავენი დაისჯებიან:

ა) მშვიდობიანობის დროს: პირველად დისციპლინარული სასჯელით ან ჰაუპტვახტში დაჭერით ერთიდან ექვს თვემდე, ან სამხედრო სატუსაღოში დაპატიმრებით, ორიდან ოთხ თვემდე, ხოლო განმეორებით შემთხვევაში ციხეში დამწყვდევით რვა თვიდან ორ წლამდე, ან დისციპლინარულ ნაწილში გაგზავნით ერთიდან ორ წლამდე, ან ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ერთიდან სამ წლამდე სათანადო უფლებათა ჩამორთმევით.

ბ) ომიანობის ან სამხედრო მოქმედების მროს გარეშე თავდასხმის ან შინაურ აჯანყების წინააღმდეგ: პირველათ—ჰაუპტვახტში დაჭერით სამიდან ექვს თვემდე, ხოლო განმეორებით შემთხვევაში—ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ორი წლიდან და ექვსი თვიდან ოთხ წლამდე სათანადო უფლებათა ჩამორთმევით.

4. (136 მუხ. სასჯ სამხ. წ.) მტრის მხარეზე გადასვლისთვის დამნაშავე დაისჯება დახვრეტით და მთელი ქონების კონფისკაციით. ასევე დაისჯება ისიც, ვინც შეეცდება მტრის მხარეზე გ დასვლას, მაგრამ ამას ვერ შეასრულებს დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

5. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 27-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

რეპინის გზაზე

ყინულის გადატანისათვის.

ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენს პროვინციებში ერთობ გაზშირდა სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობა.

ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ტიფი, საჭი-

როებს წამლობის დროს ყინულს.

ყინული ჩვენში მზადდება და ინახება ქალაქებში, საიდანაც საჭიროების დროს მიაქვთ ავადმყოფების პატრონებს.

ამ ჟამად, გამოცემულია კანონი, რომლის ძალით რკინის გზაზე მგზავრს ეკრძალება ხელით ატარონ ბარგი გარდა უმნიშვნელო რაოდენობისა.

ამ რაოდენობის ყინულს პროვინციელი ვერ წაიღებს, რადგანაც ის ერთ სადგურიდან მეორემდე სრულიად დადნება.

უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ზოგი პროვინციები ქალაქებს ძალიან დაშორებულნი არიან.

ეს მოვლენა კი საკმაოდ საყურადღებოა.

რაკი ეს ასეა, გზათა სამინისტრომ უნდა გასცეს ბრძანება ყინულის თავისუფლად გადატანის შესახებ.

ავათმყოფობანი, რომელნიც ყინულს საჭიროებენ, იმდენად გახშირებულია, რომ ეს ზომა აუცილებელია.

ყინული ბარგათ არ მიიცემა, რადგანაც ბარგები ხშირად ირევა მაშუალ სადგურებში და თავის დროზე ვერ მიდის პატრონამდე; ყინული ასეთ შემთხვევაში უსარგებლოთ დადნება.

ის ისევ ხელით უნდა წაიღოს ავათმყოფის პატრონმა. სამინისტრომ ნება უნდა დართოს, რომ ის ყველა ვაგონებში, თუნდაც პირველ კლასში, თავისუფლად შეიტანონ.

ყინული რომ სპეკულიაციის საგანს არ წარმოადგენს, ეს ყველასთვის ცხადია.

კერძო შემთხვევებში, თუ სასადილოების პატრონები ბოროტად ისარგებლებენ ასეთი განკარგულებით, შესაძლოა ავათმყოფების პატრონებმა ექიმების მოწმობებით შეიტანონ ყინული ვაგონში. **არ. ფანცულაია.**

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 2 ივლისს შესდგა ს. ს. დ. მ. ბ. პირველი რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ამხ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. პირველათ წაკითხულ იქნა თბილისის კომიტეტის მოქმედების და შემოსავალ-გასავლის სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილი ოქმი. კრებამ ოქმის შინაარსი მიიღო ცნობათ. შემდეგ კრებამ მოისმინა სხვა და სხვა კომისიების განცხადებანი და განიხილა წვრილმანი საკითხები. ამასთანავე კრებამ აღნიშნა ზომები მიიღონ, რომ გვარდიელებს ფრონტზე წესიერათ და თავის დროზე ეგზავნებოდეთ გაზეთები. ბოლოს კრება არჩევს ილიკო ბურჭულაძეს საქმეს: საგამომძიებლო კომისიას გამოუკვლევია, რომ ილიკო ბურჭულაძეს, რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, მექვაბეთა ცეხში, ტილოს განაწილების დროს, მუშებისთვის მიუღია ნაკლები ზომის ტილოს ნაჭრები, რის გამოც მას აღმოსჩენია ზედმეტი სამი ტილოს ნაჭერი. ამ გარემოებას მუშებში გამოუწვევია დიდი აურზაური და უკმაყოფილება... კრებამ ილიკო ბურჭულაძე ასეთი საქციელისათვის გარიცხა პარტიიდან. ამასთანავე გამოსთქვა სურვილი, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების შეგნებული, მოწინავე მუშები ვალდებულნი არიან სათანადო ყურადღება მიაქციონ, რომ შემდეგში აღარ ჰქონდეს ადგილი მუშებს შორის ისეთ მოვლენებს, რომლებიც საერთოდ მუშათა კლასს სახელს უტეხენ საზოგადოების თვალში და ჩირქს სცხებენ პარტიას... **მდივანი.**

მუშათა შორის

ბორჯომის სახაზინო მამულში არსებულ ქარხნებში (ერთი შუშის და ორი ხე-ტყის) მომუშავე მუშებს და ადმინისტრაციის შორის მოხდა უთანხმოება ჯამაგირების მომატების შესახებ. შესდგა ადგილობრივათ მოსარიგებელი კომისია, მაგრამ მორიგება არ მოხდა. უკანასკნელათ მხარეების თანხმობით შესდგა საარბიტრაჟო სასამართლო—მუშებმა დაასახელეს თავის მხრივ ჰაიკ აზატიანი, ადმინისტრაციის მხრით (მიწათ-მოქმედების სამინისტროდან) ან. ბებურიშვილი და თავმჯდომარეთ დაუნიშნეს ორივე მხარის შეთანხმებით მუშათა პროფესიონალურ ცენტრალურ კავშირიდან—პ. წულაია. მუშები მოითხოვდენ ჯამაგირების მომატებას პროცენტების თუ სხვა სახით, დაახლოვებით 400 მ. თვიურად. ადმინისტრაცია თანხმდებოდა მომატებას იმ ფარგლებში, რაიც ყოფილა გამოანგარიშებული შრომის სამინისტროს მიერ, ე. ი. 200 მ. საქმის გაცნობის შემდეგ საარბიტრაჟო კომისიამ ცოტა ცვლილებებით დაადასტურა შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული მომატება და თავისი გადაწყვეტილება კიდეც გააცნო მუშების საერთო კრებას, ამასთან ერთად გააცნო მათ საერთოდ ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა და მუშათა მოვალეობა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მუშებზე და ასე უთანხმოების საკითხი მშვიდობიანათ, შეთანხმებით დამთავრდა.

პროვინცია

ს. გოკრა-ბერეჟული (გურია). ძალიან გახშირდა ჩვენს სოფლებში ტყუილა-უბრალოთ თოფების სროლა, რომელიც ხშირად მარცხით თავდება. 10 ივნისს ადგილობრივ სოფლის მცხოვრებმა ეკა სირაძემ თავის შვილს ყანაში სადილი ჩაუტანა, საიდანლაც ნასროლი ტყვია მოხვდა და სასიკვდილოთ დასჭრა. ისეთ კაცს ვერ ნახავთ, რომ უბრალოთ გამოსროლილ ტყვიიდან იღბალზე არ იყოს გადარჩენილი. წარმოიდგინეთ, მუშებსაც კი ეშინიათ სამუშაოზე წასვლა, რომ ტყვიის მსხვერპლი არ გახდენ და როდესაც ეს ვაუბატონები სროლას დაიწყებენ, მუშები თხრილებს ეძებენ, რომ თავი შეაფარონ და უცდიან დროს, როდის შესწყდება სროლა. ბავშვები, რომელნიც საქონელს აძოვებენ, იმათაც თავზარს სცემენ და როდესაც სროლა ატყდება, ისინიც მინდორზე დალაგდებიან.

ხშირათ შევხვედრივარ მგზავრებს, რომელნიც თხრილებში იწვნენ თავიდან ტყვიის ასაცილებლათ. ერთი სიტყვით, „პოზიცია“ მოგგონდებათ.

მერე არ იკითხავთ ვინ და რისთვის?

ფრონტიდან მოსული ჯარისკაცები და „დეზერტირები“, რომლებსაც ყველას აქვს თოფი. სახლში მოსვლას 100—150 ტყვიის სროლით აღნიშნავენ. ეხლა უსწავლიათ, რომ „რაზრივნოი“ ტყვია წყალში ჰკლავს თევზს. დილიდან დაწყებული საღამომდე, როდესაც კარგი ამინდია, ასეთ ხელობას ეწევიან. როდესაც ცუდი ამინდია, ხელის გამოსაცდელათ მიშანში ისვრიან. არ ფიქრობენ, თუ პირდაპირ ნასროლი ტყვია, რომელიც 5—6 ვერსზე მიდის რა ზარალს მოიტანს როგორც კაცის, ისე პირუტყვის მხრით. თუ ვინმე გამოელაპარაკება ამათ, სიკვდილითაც კი ემუქრებიან: ჩვენ 3—3 წელიწადი პოზიციაზე ვართ და ეხლა ამის ნებაც არ გვაქვსო?

ასე თავზარს სცემენ მშრომელ ხალხს.

ასეთი უწესრიგობა დიდ განხეთქილებას ჰბადებს ხალხში. საჭიროა ჩოხატოურის ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები, რათა აკრძალულ იქნას უთავბოლო სროლა და წინადადება მიეცეს ფრონტიდან მოსულ გვარდიელებს და ჯარისკაცებს, რომ შინ მოსვლისას ნუ ისვრიან. **შ. გ.**

ნერ. რედაქციის მიმართ

გაზ. „საქართველოში“ № 119 მოთავსებულია ბ. ზ. ედილის მიერ ანგარიში გორის მაზრის ექიმთა ყრილობისა. ანგარიშს ბ. ედილი ასე ათავებს. „ყრილობაზედ დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ერთმა პრინციპიალურმა საკითხმა, რომლითაც ირღვევოდა აქამდის მიღებული მკურნალთა კავშირის ეთიკა. აი საქმე რაში გახლავთ: გორის სამაზრო ერობის გამგეობას, გორში არსებულმა ექიმთა კავშირმა დღიდგან ერობის არსებობისა წარუდგინა სამკურნალო საქმის მოსაწესრიგებლათ და მის გამგედ ბ. კობერიძე, რომელიც ცნობილია მთელს გორის მაზრაში, როგორც არა მარტო ექიმი, არამედ როგორც უებარი საზოგადო მოღვაწე. დღეს ამ ექიმისთვის გამგეობას ისეთი პირობები წაუყენებია, რომლის შესრულება მას არ შეუძლიან და რომელიც საქმის საჭიროებით არ არის გამოწვეული და სხვა ექიმი მოუწვევია. ყრილობამ დაჰგმო ასეთი საქციელი გამგეობისა, როგორც მიუღებელი დემოკრატიულ რესპუბლიკაში და დაადგინა: უკმაყოფილება გამოუცხადოს გორის საერობო გამგეობას ამგვარი მოქმედების გამო და ექიმი, რომელიც მოწვეულია გამგეობის მიერ ექიმთა კავშირის დაუკითხავათ, არ მიიღონ თავის წრეში“.

რა მოხდა? რათ დასჭირდა ზ. ედილს დონკიხოტობა და ქარის წისქვილების ჭიდილი? რატომ კრინტს არა სძრავს იმაზედ, თუ რა პირობები წაუყენეს და რა კაპრიზები ამოქმედებს გამგეობას? მაგრამ ზ. ედილი, რომ პატიოსანი კორესპონდენტი იყოს, იმას იტყოდა, რაც გორის ექიმთა ყრილობის ოქმშია. ოქმში კი აი რა სწერია: „წაკითხულ იქნა დეპეშა ერობის თავმჯდომარისა, რომელიც იწვევს ექ. აბულაძეს სანიტარულ ექიმათ. ამის შესახებ კრებამ ერთხმათ დაადგინა: ექიმთა პროფესიონალური კავშირი შეურაცყოფილად სთვლის თავის თავს მის დაუკითხავათ სანიტარული ექიმის მოწვევის გამო, უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამის შესახებ და ამ სახით მოწვეულ ექიმს სთვლის „მიუღებლად“. როგორც ხედავთ გამგეობას მიუტევებელი ცოდვა ჩაუდენია—საშინელი ანტისანიტარული მდგომარეობისთვის ყურადღება მიუქცევია, სანიტარული ექიმი მოუწვევია. მერე და რა მოხდა? ის რომ გამგეობის ასეთმა საქციელმა ექიმთა ყრილობის მყუდროება ოაარღვია და ააღელვა და ამ აღელვების შედეგიც ის გახლავთ, რომ ექიმთა ყრილობა ერთ წამს ექიმთა პროფესიონალურ კავშირათ იქცა, თავი შეურაცყოფილათ იგრძნო და ზევით მოყვანილი დადგენილება მიიღო. რომ სანიტარული ექიმი მეტათ საჭირო ყოფილა ერობისთვის, ეს ექ. ელიოზიშვილს დაუმტკიცებია თავის მოხსენებაში. ამ მხრივ მაშ დავა არ არის. ან იქნება გამგეობამ ვინმე პროფანი და უღირსი პირი მოიწვია ამ თანამდებობაზედ, ან ისეთი, რომელიც თავის წარსული ან აწმყო მოქმედებით ჩირქსა სცხებს ექიმთა კოლეგიას? და თუ არც ერთი ეს არ არის, მაშ რაშია საქმე? როგორც სჩანს ექ. ყრილობის დადგენილებიდგან ექ. პროფ. კავშირი შეურაცყოფილათ სთვლის თავის თავს მისდა დაუკითხავათ სანიტარული ექიმის მოწვევის გამო. თურმე ნუ იტყვით, გამგეობა ექ. პროფესიონალური კავშირის წარმოდგენაში ფულის ქისა ყოფილა. არც მეტი არც ნაკლები: კავშირი დაადგენს, გამგეობამაც უნდა სისრულეში მოიყვანოს. აქ საჭიროა ერთმანეთის გაგება და ეს გაგება კი თვით ერობის იდეაში და კავშირის მიზნებში უნდა ვეძიოთ. გორის ერობის გამგეობის პრაქტიკაში არ ყოფილა დღემდის შემთხვევა ამა თუ იმ ექიმის ფერშლის ან ბებია ქალის მოწვევა გამგეობას ეკითხა ექ. კავშირისათვის და კავშირიც დამშვიდებით განაგრძობდა მოქმედებას, გამგეობამ კი ამ რიგათ არა ერთი და ორი უბნის გამგე ექიმები მოიწვია თავის სამსახურში. ექ. კავშირსაც შეურაცყოფილათ არ უგრძვნია თავი.

გორის ექიმთა პროფესიონალურ კავშირის გზას რომ გავყვეთ, ხომ მუდამ კონფლიკტებთან გვექნება საქმე და ამით მედიკო სანიტარული საქმე მაზრაში თავის მიზნებს ვერ მიაღწევს.

წარმოიდგინეთ ერთ წამს, რომ ექ. პროფესიონალურმა კავშირმა, რაიმე მოსაზრებით საჭიროთ სცნო ამა თუ იმ ექიმის ერობის სამსახურში მიღება და შეატყობინა გამგეობას თავის გადაწყვეტილება, გამგეობამ თავი შეურაცყოფილათ იგრძნო და არ ისურვა იმ ექიმის აყვანა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება აგრე საკითხის დაყენება?

ჩვენ ვეკითხებით ამ კავშირს: როდის მიითვისა მან ერობის გამგეობის უფლებები ან რომელი კანონის ძალით ეპოტინება ამ უფლებებს? ან რა უფლება ჰქონდა დაედგინა ექიმთა ყრილობას ერობის მოსამსახურე ექიმთათვის ნება მიეცა ფულები აიღოს ექიმობაში? ვინ მიანიჭა ასეთი უფლებები ექიმთა ყრილობას, რომელმაც თავის თავს ყრილობის ბოლოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი უწოდა? ასეთი დადგენილება კი ზოგიერთ ერობის ექიმებს სისრულეში მოყავთ, როგორც სჩანს იმ ცნობებიდან, რომელიც გამგეობას მოსდის ადგილებიდან. ასეთ საქციელს გამგეობა დაუშვებლათ სცნობს.

დრო არის შეეჩვიოს ყველა ხალხის თვითმართველობას და მის უფლებებს და ჭორებზედ არ ააშენონ თავიანთი დადგენილებები, როგორც ეს მოხდა გორის ექიმ. ყრილობაზე 2—3 ივნისს.

დასასრულ ჩვენ მოვითხოვთ ზ. ედილისაგან ერთი კვირის ვადაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა პრესის საშუალებით მიგვითითოს რა პირობები წაუყენა გამგეობამ მაზრის ექიმს, რომლის შესრულებაც შეუძლებელი იყო და რომელიც საქმის საჭიროებით არ იყო გამოწვეული.

გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე **მ. ახალაძე.**

ფოსტა

ფოთი. ბ. სტეფანე გაგუას. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება, ვინაიდან ჩვენი კორესპონდენტი თქვენ უკვე გაგიწვევიათ სამედიატორო სამართალში. თან თქვენ უარს არ ყოფთ ჯგუფში მონაწილეობაზე, თუმცა მას სხვა ხასიათს აძლევთ.

რედაქცია არ ბეჭდავს აგრეთვე გულის წყრომით აღსავსე, იმ ეპიგრამებს, „ბიჭებს“ სახებ.

განცხადებანი

იცემა იჯარით

ქართული თორნე

სრული მოწყობილობით. ანტონოვის ქ. № 18 (9 სამილიციო უბანი) პირობების გაგება შეიძლება ჩერქეზიშვილის ქ. № 38 კუკიის კოოპერატივში. იქვე იყიდება რუსული უნაგირი.

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრეს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**
გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შემხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმ **ქ. თ. ტყეშელაშვილის**
საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შემხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

სახელოსნო კლუბში შაბათს 5 და ოთხშაბათს 9 ივლისს, რუსულ კლუბში სამშაბათს 8, ქართულ კლუბში პარასკევს 11 გაიმართება ცნობილი **ბ. გ. გაზალიუსის**

მხატვრული წარმოდგენები

დაწვრილებით აფიშებში. (2—2)

კვირას, ივლისის 6-ს, ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

ქართულ სამუსიკო საზოგადოების ღლიური პრეგის

გაგრძელება. კრების საგანი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: წესდების შეცვლა, გამგეობის არჩევნები და სხ. ამიტომ საჭიროა ყველა წევრების აუცილებლად დასწრება. კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რიცხვისა. (2—2)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.